გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 17
2023 წლის 13 იანვარი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის ანგარიშის შეფასების შესახებ

„გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპლიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანნვრის #1 დადგენილების მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო წელიწადში ერთხელ საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულის საფუძველზე საჭიროა შეფასდეს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის ანგარიში თანდართული დანართების შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის ანგარიში

გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო არის საკრებულოს სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო, რომელიც განიხილავს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საკრებულოს რეგლამენტით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.

გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო შედგება საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს წევრების, საკრებულოს აპარატის, მერიის თანამშრომლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან.

გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ შეიმუშავა 3 წლიანი (2022-2024) სამუშაო გეგმა, სადაც აქცენტი გააკეთა 6 მიმართულებაზე. ეს მიმართულებებია:

1. ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
2. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა;
3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება;
4. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება;
5. თანამშრომლობა და კოორდინაცია;
6. გენდერული თანასწორობის გეგმის მონიტორინგი და ანგარიშგება.

1. ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში:

გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია;

საკარიერო განვითარების კურსებზე მონაწილე ქალთა პროცენტული რაოდენობა კაცებთან თანაფარდობით გაზრდილია. მოთხოვილია სასწავლო კურსის შეძენა გენდერული თანასწორობის და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა და საბავშვო ბაღის აღმზრდელთა გადასამზადებლად;

მოვახდინეთ მუნიციპალიტეტში დასაქმებული პერსონალის სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოება (დანართი თან ახლავს); ასევე, მოვახდილეთ "გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 10 დეკემბრის #35 დადგენილებით დამტკიცებული წესით მოსარგებლე ბენეფიციარების სეგრეგირებული მონაცემების წარმოება (დანართი თან ახლავს); საბჭოს მიერ ჩატარდა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა. ღონისძიება ჩატარდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში და მიზნად ისახავდა ქალთა ჩართულობის გაზრდას თვითმმართველობის პროცესებში. საჯარო განხილვას ესწრებოდა 55 მოქალაქე გორის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულებიდან, აქედან 40 იყო ქალი, 5 შშმპ, მათ შორის 2 ეტლით მოსარგებლე შშმ ქალი. დამსწრე ქალებს შორის იყვნენ ის ქალებიც, რომლებიც დაესწრნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებს. შეხვედრას ესწრებოდნენ აგრეთვე მედიის წარმომადგენლები და სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებიც. 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტზე პრეზენტაცია გააკეთა გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა. ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და ქალებს მიეცათ საშუალება თვითონ ესაუბრათ საკუთარ პრობლემებზე;

ქალთა ჩართულობის გაზრდის მიზნით თვითმმართველობის პროცესებში და მათი გაატიურებისთვის დაბეჭდილია და მოსახლეობაში დასარიგებლად გამზადებული 2023 წლის კალენდრები, რომელზეც

განსხვავებული მელნით აღნიშნულია საკრებულოს, გენდერული თანასწორობის საბჭოს, ბიუროს, კომისიის სხდომები, „საკრებულო ახალგაზრდებისთვის“ - ახალგაზრდებისთვის დათმობილი დღეები და ინფორმაცია, რომელიც გაუღვივებს მათ სხდომებზე დასწრების და თვითმმართველობის პროცესებში ჩართვის სურვილს.

2. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა:

გეგმის ფარგლებში გენდერული თანასწორობის საბჭო ატარებს საინფორმაციო გასვლით შეხვედრებს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში. 2022 წელს შეხვედრები ჩატარდა ტირძნისის, ნიქოზის, ვარიანის, ქვახვრელის, შავშვების, ადმინისტრაციულ ერთეულებში და გორში. შეხვედრას ესწრებოდნენ: ზემო ნიქოზის, ქვემო ნიქოზის, ფხვენისის, ზემო ხვითის, ქვახვრელის, უფლისციხის, წითელუბნის, ნაწრეტის, შავშვების, შავშვების დევნილთა ჩასახლების, ხურვალეთის, ნადარბაზევის, ახალდაბის, საქაშეთის, ვარაიანის, ვარიანის მეურნეობის, თერგვისის, ტირძნისის, მეღვრეკისის, ერგნეთის, ბროწლეთის, ქვეშის, ქვემო არცევის, შინდისის და გორი, რუსთაველის ქ. #88-ში მცხოვრები მოსახლეობა სულ 150 პირი. აქედან 131 ქალი და 19 კაცი. შეხვედრის მიზანია მოსახლეობისთვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე, სახელმწიფოში არსებული მსხვერპლთათვის განკუთვნილი დაცვისა და დახმარების მექანიზმებზე. ასევე, ქალთა განათლების, განვითარებისა და დასაქმების მნიშვნელობაზე, უფასო იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარების მიღების შესაძლებლობებზე, საკრებულოს სხდომებზე და პრიორიტეტების დოკუმენტების შემუშავების პროცესში მათი ჩართულობის მნიშვნელობაზე. ამასთანავე, ხდება იმ პრობლემების გამოკვეთა, რომლებსაც აწყდებიან ქალები სოფლად. აღნიშნული საინფორმაციო შეხვედრის შესახებ გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი წერს საინფორმაციო შეხვედრის ანგარიშს და უგზავნის საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც შემდეგ წერილობით აცნობებს მერს ანგარიშის თანახმად იმ პრობლემების ჩამონათვალს, რომელსაც აწყდებიან ქალები სოფლად;

აქტიურად ჩართვა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ 16 დღიან კამპანიაში: (ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა; 2023 წლის კალენდრის ბეჭდვა; შეჯიბრი კრივში „ძლიერები ძალადობის წინააღმდეგ“).

მიმდინარე წლის 6 დეკემბერს, გორის კრივის დარბაზში ჩატარდა შეჯიბრი კრივში, სადაც მონაწილეობა მიიღეს როგორც მოკრივე ბიჭებმა, ასევე მოკრივე გოგონებმა. შეჯიბრი ჩატარდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში და მისი სლოგანი იყო „ძლიერები ძალადობის წინააღმდეგ“. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 14-მა მოზარდმა (6 გოგო, 8 ბიჭი). მონაწილეები დაჯილდოვდნენ სიგელებით, მედლებით, თასებით. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის ოფისის წარმომადგენლებმა ყველა მონაწილეს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრების პაკეტები ევროკავშირის ემბლემით.

3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.

ჩატარებულია 8 საინფორმაციო გასვლითი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 150 ადამიანი, აქედან 131 ქალი. საინფორმაციო გასვლით შეხვედრებზე ცალკე დრო ეთმობა ქალთა დასაქმების, განათლებისა და განვითრების მნიშვნელობას. ასევე, ვესაუბრებით სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებსა თუ პროფესიული გადამზადების ცენტრების უფასო პროგრამებზე. პრობლემების კვლევის ნაწილში ხშირად არის თხოვნა, მივეხმაროთ ქალებს ბიზნესგეგმების დაწერაში, სხვადასხვა ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, პროექტების წერაში. გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სამუშაოს მაძიებელი და რთულად დასასაქმებელი ქალებისათვის (დიდი ხნის მანძილზე უმუშევარი, პროფესიის არმქონე, NEET ახალგაზრდები, შშმ პირები, სოციალურად დაუცველი პირები) ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა დასაქმების საშუამავლო სერვისების შესახებ და მათთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული ორიენტაციის და cv-ტრენინგების ჩატარება; ბიზნეს-გეგმების მომზადების სწავლება.

საანგარიშო პერიოდში ქალთა მაღალი მოთხოვნის სფუძველზე ჩატარებულია 1 ტრენინგი ონლაინ, რომელსაც ესწრებოდა 15 სამუშოს მაძიებელი ქალი, ტრენინგის ჩატარებამდე მოხდა მათი საჭიროებების წინასწარ შესწავლა და აღნიშნულ საჭიროებებზე მორგებული ტრენინგ-მოდულის შეთავაზება.

ტრენინგი მოიცავდა ისეთ თემებს როგორიცაა: შრომის ბაზრის მოთხოვნები და ამ მოთხოვნებთან შესაბამისობა, სამუშაოსთვის მზაობა, სრულყოფილი cv- ის მომზადება, ვაკანსიაზე მორგებული სამოტივაციო წერილის წერის ტექნიკა და გასაუბრების ტექნიკები. ტენინგის შემდგომ საჭიროების შმეთხვევაში სამუშაოს მაძიებელ ქალებს გაეწიათ ინდივიდუალური კონსულტაციები რაც გულისხმობდა მათ პროფილირებას, ინდივიდუალური დასაქმების გეგმის გაწერას და კარიერული ორიენტაციის ქოუჩინგს. აღნიშნული ტრენინგი ჩატარებულია არასამთავრობო ორგანიზაციის „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDEC) მიერ, რომელიც ახორციელებს პროექტს- „სწავლა, წვრთნა და კავშირების დამყარება დასაქმებისთვის“ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნული ორგანზაციის წამომადგენელი შიდა ქართლში, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრია სამოქალაქო სექტორიდან.

ტრენინგის შემდგომ ეტაპზე გენდერული თანასწორობის საბჭომ განათლების განვიტაების და დასაქმების ცენტრთან ერთად გააგრძელა მუშაობა სამუშაოს მაძიებელ ქალებთან ქალებთან, დაეხმარა მათ ჩართულიყვნენ სხვადასხვა უფასო საგანმანათლებლო პროგრამებში, ხოლო მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მუშაობა აქტიურად კვლავაც გრძელდება.

გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ორგანიზაციაში დამატებით გადამისამართდა 13 ქალი (ჯამში 28) უწყვეტი კარიერული სერვისების მიწოდებისა და დასაქმების შესაძლებლობები გაზრდის მიზნით.

გენდერული თანასწორობის საბჭო კვლავაც აქტიურად გააგრძელებს მუშაობას განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და დასაქმების ხელშეწყობისთვის.

4. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება.

გეგმის ამ ნაწილში: ასოციაცია „თანხმობა“ მიერ ჩატარდა 10 ონლაინ ტრენინგი, 4 ტრენინგი (6 სატრენინგო დღე) და 3 საინფორმაციო შეხვედრა გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში და დევნილთა ჩასახლებებში მცხოვრები აქტივისტ-ქალებისთვის შემდეგ თემებზე:

ლიდერობა; კომუნიკაციები; ადვოკატირება; გაეროს რეზოლუცია 1325; გენდერი; ადამიანის უფლებები; ოჯახში ძალადობა; კონფლიქტის ანალიზი; ქსელები და კოალიციები; ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, თვითმმართველობა; ადგილობრივი ბიუჯეტების ანალიზი; ადამიანის უსაფრთხოება. ასოციაცია თანხმობა მიერ ხორციელდება ხანდაზმულთა პროგრამა „ჯანსაღი დაბერების ცენტრი“, სადაც რეგულარულად დადის 29 ხანდაზმული, ასევე 29 ხანდაზმულისთვის ხორციელდება შინმოვლა სამედიცინო და სოციალური კომპონენტებით.

5. თანამშრომლობა და კოორდინაცია

მუნიციპალიტეტისა და ქალთა საკითხებზე, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კოორდინირებული თანამშრომლობა - ვთანამშრომლობთ ასოციაცია „თანხმობასთან“, ვესწრებით ერთმანეთის ღონისძიებებს, ვითვალისწინებთ ერთმანეთის აზრს.

მუნიციპალიტეტის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტების მიმართულება და რაოდენობა - განვახორციელეთ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის ოფისთან ერთად საინფორმაციო გასვლითი შეხვედრები ვერხვების დევნილთა ჩასახლებაში და სოფლებში: ნიქოზი და შავშვები. დავპატიჟეთ გენდერული კვირეულის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებზე, სადაც მათ დააჯილდოვეს ღონისძიების მონაწილე მოზარდები, ასევე დავესწარით მათ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს.

აქტიურად ვთანამშრომლობთ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა სტრუქტურებთან. ჩატარებული გვაქვს ერთობლივი შეხვედრები მოსახლეობასთან: წამების მსხვერპლთა ფსიქორეაბილიტაციის ცენტრი, განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, სსიპ

უფასო იურიდიული მომსახურების ცენტრი, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო და სხვა.
მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ დამეგობრებულ ქალაქებთან თანამშრომლობისა და კოორდინაციის შედეგად გათვალისწინებული რეკომენდაციების რაოდენობა - მუნიციპალიტეტთან დამეგობრებული ქალაქების, ასევე საქართველოს მუნიციპალიტეტების გედერული თანასწორობის საბჭოებთან თანამშრომლობისა და ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების, გამოცდილების გაზიარების მიზნით გაგზავნილია წერილები პოლონეთის 3 მუნიციპალიტეტში (ოჟიში, ბიალისტოკი, კარტუზი), ჯერ-ჯერობით არ არის გამოხმაურება. რაც შეეხება საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებთან ურთიერთობას, მომავალი წლიდან ვგეგმავთ ერთობლივ საინფორმაციო გასვლითი შეხვედრების ორგანიზებას.

6. გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის მონაწილობითი პროცესის მხარდაჭერა და საჯარო ანგარიშგება

ანგარიში საკრებულოში წარსადგენის შემდგომ გაეგზავნება საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის საკოორდინაციო უწყებათშორის საბჭოს.
ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება, განთავსდება გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ. გვერდზე.

გორის მუნიციპალიტეტის მერია



გორის მუნიციპალიტეტის მერია

დასაქმებული თანამშრომლების საერთო რაოდენობა	
ქალები	კაცები
144	131
სულ ჯამი	**275**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

	პოზიცია	ქალი	კაცი
	სულ საკრებულოს წევრი	**36**	
1.1	საკრებულოს წევრი	10	26
2.	პოლიტიკური თანამდებობის პირები	6	16
2.1	საკრებულოს თავმჯდომარე	0	1
2.2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	2
2.3	კომისიის თავმჯდომარე	2	3
2.4	ფრაქციის თავმჯდომარე	0	3
	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	3	7

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

	პოზიცია	ქალი	კაცი
	სულ	**23**	
1.	აპარატის თანამშრომლები	16	7
2 .	მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული პირები (აპარატის უფროსი)	0	1
3.	საჯარო მოხელე	15	3
4.	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	1	4

მუხლი 1. ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო დახმარება



სულ ბენეფიციართა რაოდენობა 828

მუხლი 1. ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო დახმარება



მუხლი 2. ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფის მედიკამენტებით უზრუნველყოფა



სულ ბენეფიციართა რაოდენობა
422

მუხლი 2. ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფის მედიკამენტებით უზრუნველყოფა



მუხლი **3.** სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **997**

მუხლი 3. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება



მუხლი **4.** უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა



სულ ბენეფიციართა
რაოდენობა **496**

მუხლი 4. უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა



მუხლი 5. იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის, სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილალანემია **ICD E70.0 – E70.1),** გლ



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **527**

მუხლი 5. იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის, სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილალანემია **ICD E70.0 – E70.1)**, გლ



მუხლი **6.** დიალიზზე მყოფი ადამიანების სოციალური დახმარება



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **88**

მუხლი 6. დიალიზზე მყოფი ადამიანების სოციალური დახმარება



მუხლი 7. სქოლიოზით დაავადებული ბენეფიციარების სამკურნალო-სარეაბილიტაციო დახმარება.



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **14**

მუხლი 7. სქოლიოზით დაავადებული ბენეფიციარების სამკურნალო-სარეაბილიტაციო დახმარება.



მუხლი **8.** სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **96**

მუხლი 8. სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება



მუხლი **9.** მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **72**

მუხლი 9. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება



მუხლი 10. დედ-მამით ობოლი ბავშვებისა და იმ ბავშვების დახმარება, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **37**

მუხლი 10. დედ-მამით ობოლი ბავშვებისა და იმ ბავშვების დახმარება, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები



მუხლი 11. ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **19**

მუხლი 11. ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება



მუხლი 12. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **42**

მუხლი 12. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება



მუხლი **13.** მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **449**

მუხლი 13. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება



მუხლი **14.** ასი და მეტი წლის ასაკის უხუცეს დღეგრძელთა დახმარება



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **4**

მუხლი 14. ასი და მეტი წლის ასაკის უხუცეს დღეგრძელთა დახმარება



მუხლი 15. რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **13**

მუხლი 15. რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით



მუხლი 16. მარტოხელა მშობლის დახმარება



სულ ბენეფიციართა რაოდენობა 128

მუხლი 16. მარტოხელა მშობლის დახმარება



მუხლი 17. ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის (ბენეფიციარების) დახმარების გაწევა



სულ ბენეფიციართა რაოდენობა 15

მუხლი 17. ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის (ბენეფიციარების) დახმარების გაწევა



მუხლი 18. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარება



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **189**

მუხლი 18. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარება



მუხლი 19. მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა **ICD H-90.6; H-91.9)** პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **174**

მუხლი 19. მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა **ICD H-90.6; H-91.9)** პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება



მუხლი **20. 2021** წლის **1** იანვრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების სოციალური ფულადი დახმარება



სულ ბენეფიციართა რაოდენობა 4

მუხლი **20. 2021** წლის **1** იანვრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების სოციალური ფულადი დახმარება



მუხლი 21. გორის მუნიციპალიტეტში ტერიტორიაზე რეგისტრირებული უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **13**

მუხლი 21. გორის მუნიციპალიტეტში ტერიტორიაზე რეგისტრირებული უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა



მუხლი **22. 2021** წლის **1** იანვრიდან სახელმწიფო ზრუნვიდან გასული სრულწლოვანი (არაუმეტეს **21** წლისა) მოქალაქეების დახმარება



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **3**

მუხლი 22. 2021 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ზრუნვიდან გასული სრულწლოვანი (არაუმეტეს 21 წლისა) მოქალაქეების დახმარება



მუხლი 23. ძალადობის შედეგად ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **4**

მუხლი 23. ძალადობის შედეგად ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.



2022 არ მოუმართავს არცერთ მოქალაქეს



ერთჯერადი სოციალური ფულადი დახმარება



სულ ბენეფიციართა რაოდენობა **120**


ერთჯერადი სოციალური ფულადი დახმარება
ქალაქში მცხოვრები
67
სოფლად მცხოვრები
53
0-დან 30 წ. ასაკის
6
სულ კაცები
41
სულ ქალები
79

სულ ჯამი

ჯანდაცვის სერვისებით მოსარგებლეთა ჯამური რაოდენობა			
ქალი	3 018	დევნილი ქალი	225
კაცი	1 736	დევნილი კაცი	164
სულ ყველა	4 754	სულ დევნილები	389